

**შეტყობინება მეთერომეტე**  
**დავითი და აბიგელი, წინასახეები**  
**მებრძოლი ქრისტესი და მებრძოლი ეკლესისა**

ადგილები წერილიდან: 1 მეფ. 25:2-42; ეფეს. 5:25-27; 6:10-13;  
გამოცხ. 19:7-9, 11-21; ებრ. 6:19; 10:19-20; 13:13

- I. 1 მეფ. 25:1ბ-44-ში მოთხრობილია დავითის ქმედებებზე ნაბალთან და აბიგელთან  
დაკავშირებით:
- ა. ამ თავში ჩვენ ვხედავთ აბიგელის სიბრძნეს, რომელიც გამოვლინდა იმაში, რომ  
მან მშვიდობა მოუტანა დავითს – მუხ. 23-31.
  - ბ. აბიგელის თხოვნის პასუხად დავითმა აკურთხა იქჰოვა, რომელმაც გაუგზავნა  
აბიგელი მას, და ასევე აკურთხა ის, ვინც შეეწინააღმდეგა მას, რომ დაემყარებინა  
სისხლის აღრევა და შური ეძია თავისი თავისთვის თავისი ხელით – მუხ. 32-35.
  - გ. აბიგელის სილამაზემ და სიბრძნემ დაიპყრეს დავითი, და ნაბალის სიკვდილის  
შემდეგ, მან მოიყვანა აბიგელი ცოლად და ის გახდა მისი წყვილი ომში – მუხ. 36-  
44.
- II. დავითი არის წინასახე მებრძოლი ქრისტესი ტანჯვებს შორის – მუხ. 28:
- ა. დავითი არის წინასახე უფალ იქსოსი როგორც ადამიანის მის ტანჯვებში  
დედამიწაზე მის აღდგომამდე; დავითი იტანჯებოდა იმის გამო, რომ გაემარჯვა  
მტერ-დამპყრობლებზე და მოეპოვებინა კეთილი მიწა – ტერიტორია ლმერთის  
ნაგებობისათვის – ფსალ. 69:1-9.
  - ბ. ის, რომ დავითი იყო განმტკიცებული ლმერთის მიერ, ჩანს მის არაერთგზის  
გამარჯვებაში ფილისტიმელებზე, ამიტომ ის არის წინასახე ქრისტე-მეომრისა – 2  
მეფ. 5:17-25.
  - გ. ვინაიდან იქჰოვა – არის მეომარი, რომელიც იბრძვის ჩვენთვის და მოიპოვებს  
ტრიუმფალურ გამარჯვებას ყველა ჩვენს მტერზე, ის არის ჩვენი ტრიუმფი, ჩვენი  
გამარჯვება – გამ. 17:8-16.
  - დ. ფსალ. 110:5-6-ში ნაჩვენებია, გარდა იმისა, რომ ქრისტე არის მეფე და მდვდელი,  
ის არის მეომარი:
    1. თავისი რისხების დღეს თავისი დაბრუნებისას, ქრისტე იქნება უდიდესი  
გამარჯვებული, რომელიც გაიმარჯვებს ყველა ხალხზე, დაამსხვრევს  
მეფეებს და მტრების თავებს და ადასრულებს სამსჯავროს ყველაზე, ვინც  
ეწინააღმდეგება მას – მუხ. 1-2, 5-6.
    2. გამოცხადების 19:11-14-ის თანახმად, თავისი დაბრუნებისას ქრისტე იქნება  
მებრძოლი:
      - ა) უფალი არ იბრძოლებს ანტიქრისტესა და ხალხების ჯარების  
წინააღმდეგ მარტო.
      - ბ) ქრისტე მოვა თავის პატარძალთან როგორც თავის ჯართან, და მასთან  
ერთად ის იბრძოლებს ანტიქრისტესა და მისი ჯარების წინააღმდეგ –  
მუხ. 7-9.
- ე. ქრისტე-მეომარი – არის გამარჯვებული ქრისტე – იოანე 12:31; ეფეს. 4:8; ებრ. 2:14;

1. თავის მიწიერ მსახურებაში გამარჯვებულმა ქრისტემ დაამარცხა ეშმაკი და გაანადგურა მისი საქმეები – მათე 4:1-11; 1 ოთანე 3:8.
2. თავის ჯვარცმაში გამარჯვებულმა ქრისტემ განდევნა ამ ქვეყნიერების მმართველი, გაანადგურა ეშმაკი, გააკეთა ისე, რომ ხელმწიფებანი და ძალაუფლებები დაემხო, და გაანადგურა სიკვდილი – ოთანე 12:31; მათე 27:51; ებრ. 2:14; კოდ. 2:15; 2 ომ. 1:10.
3. გამარჯვებული ქრისტეს აღდგომა აცხადებს, რომ მან გაიმარჯვა სიკვდილზე – 2:8.
4. თავის ამაღლებაში გამარჯვებულმა ქრისტემ „წაიყვანა ტყველ დატყვევებულები“; მან გაგვანთავისუფლა ჩვენ სატანის დამპურობელი ხელიდან და მიგვიყვანა ჩვენ ყველაზე მაღალ ადგილას სამყაროში – ეფეს. 2:6; 4:8.
5. გამარჯვებული ქრისტე მოვა როგორც მებრძოლი მხედართმთავარი, მეომარი, თავისი ჯარით, რათა ებრძოლოს ანტიქრისტეს, მის დაქვემდებარებულ მეფეებს და მათ ჯარებს არმაგედონთან – გამოცხ. 19:11-21.

### **III. აბიგელი არის წინასახე მებრძოლი ეკლესიისა ტანჯვებს შორის – 1 მეფ. 252-42:**

- ა. დაწყებული მეფეთას პირველი წიგნის 25-ე თავიდან აბიგელი ყოველთვის იყო დავითის-მეომრის გერედით და მიჰყვებოდა მას მის ომებში – მუხ. 40:42:
  1. ის, რომ აბიგელი გაჲყვა ცოლად დავითს, არის წინასახე იმისა, რომ ეკლესია იყო მოწოდებული როგორც ჯარი ომის საწარმოებლად – ეფეს. 6:10-20.
  2. აბიგელი არის წინასახე მებრძოლი ქრისტესი, რომელიც იბრძვის ღმერთის სამეფოსათვის ტანჯვებს შორის – გამოცხ. 1:9; 11:15; 12:10.
- ბ. აბიგელი როგორც წინასახე გამოხატავს იმას, რომ ჩვენ უნდა ვიყოთ ერთი ქრისტესთან მის ტანჯვებში – ფილიპ. 3:10; კოდ. 1:24; გამოცხ. 1:9:
  1. არსებობს ორი სახის ტანჯვა ქრისტესი: ტანჯვები გამოსყიდვის აღსრულებისათვის, რომლებიც დასრულა თვითონ ქრისტემ, და ტანჯვები ეკლესიის წარმოქმნისა და აშენებებისათვის, ტანჯვები, რომლებიც უნდა შეავსონ მოციქულებმა და მორწმუნებმა – კოდ. 1:24.
  2. ის, რომ პავლე ახსენებს ქრისტეს ტანჯვებს ღმერთის სახლის მმართველობასთან დაკავშირებით, გვიჩვენებს, რომ სახლის მმართველობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ტანჯვების მეშვეობით – მუხ. 25:
    - ა) თუ ჩვენ გვინდა, რომ გვქონდეს წილი ღმერთის სახლის მმართველობაში, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ტანჯვისათვის – გამოცხ. 1:9; 2 კორ. 1:3-6.
    - ბ) ყველა, ვინც შრომობს ეკლესიაში ან მონაწილეობას ღებულობს მსახურებაში, მზად უნდა იყოს, რომ ეზიაროს სახლმმართველის ტანჯვებს; ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, გადავიხადოთ ნებისმიერი აუცილებელი საფასური, რათა შევასრულოთ ჩვენი სახლმმართველობა – 4:10-12; ოთანე 12:24-26.
  - გ. აბიგელი როგორც წინასახე გამოხატავს იმას, რომ ეკლესია მონაწილეობას ღებულობს უფალ იესოსთან ერთად სულიერ ომში – ეფეს. 6:10-20:
    1. ეკლესია როგორც ქრისტეს წევილი, მისი პატარძალი, ნაჩვენებია ეფეს. 5:25-27-ში, და, ეს წევილი ხდება მეომარი, მებრძოლი, ეფეს. 6:10-13-ში:
      - ა) ნათქვამი ეფესელთა მიმართ წერილის მე-5 და მე-6 თავებში ასრულდება გამოცხადების მე-19 თავში.

- ბ) გამარჯვებულების ერთობლიობა ხდება პატარძალი როგორც წყვილი ქრისტესი (მუხ. 7-9), და ეს წყვილი ხდება ქრისტეს ჯარი, რომელიც გაიმარჯვებს ანტიქრისტეზე არმაგედონთან (მუხ. 11-21).
2. აუცილებელია არა მარტო ის, რომ შევასრულოთ დმერთის მარადიული ჩანაფიქრი და დავაკმაყოფილოთ მისი გულის სურვილი, არამედ დავამარცხოთ დმერთის მტერიც; ამისათვის ეკლესია უნდა იყოს მეომარი – ევეს. 1:11; 3:9-11; 6:10-12.
3. სულიერი ომი აუცილებელია, რადგან სატანის ნება ეწინააღმდეგება დმერთის ნებას – მათე 6:10; 7:21; ესაია 14:12-14:
- ა) სულიერი ომის სათავე არის კონფლიქტი დვთაებრივ ნებასა და სატანურ ნებას შორის.
  - ბ) როგორც ეკლესია, ჩვენ ვიბრძვით იმისათვის, რომ დავიმორჩილოთ სატანური ნება და გავიმარჯვოთ დმერთის მტერზე – გამოცხ. 12:11.
4. სატანა განიცდის შიშს ეკლესის როგორც ქრისტეს სხეულის, ერთობლივი მეომრის, წინაშე, რომელიც იბრძვის მისი და მისი სამეფოს წინააღმდეგ – ქებ. ქ. 6:10; ევეს. 6:10-20.
5. ქრისტე დაქორწინდება იმაზე, ვინც მრავალი წლის განმავლობაში აწარმოებდა ბრძოლას დმერთის მტრის წინააღმდეგ – 19:7-9, 11-16.
6. გამარჯვებულები, რომლებიც შეადგენენ ქრისტეს პატარძალს, აწარმოებენ ბრძოლას დმერთის ყველა მტრის წინააღმდეგ და იმარჯვებენ მათზე, რათა მოიტანონ დმერთის სამეფო – 2:7, 11, 17, 26; 3:5, 12, 21; 11:15; 12:10.

#### **IV. აბიგელი როგორც წინასახე გამოხატავს მორწმუნებს, რომელიც გადის იესოსთან ბანაკის გარეთ, იტვირთავს მის შეურაცხეყოფას – ებრ. 13:13:**

- ა. ჩვენს ქრისტიანულ ცხოვრებას აქვს ორი ასპექტი – შინაგანი ასპექტი და გარეგნული ასპექტი – ებრ. 6:19-20; 13:13:
1. შინაგანი ასპექტი ნაჩენებია სულამიტის წინასახეში, ხოლო გარეგნული – აბიგელის წინასახეში – ქებ. ქ. 6:4, 10, 13; ებრ. 13:13.
  2. ერთი მხრივ, ჩვენ ვიმყოფებით ფარდის მიღმა, წმიდათა წმიდაში; მეორე მხრივ, ჩვენ ვიმყოფებით ქალაქის, ბანაკის მიღმა, ადამიანების წინაშე – ებრ. 6:19-20; 13:13.
- ა) შინაგანად ჩვენ ვტკბებით აღმდგარი ქრისტეთი, ხოლო გარეგნულად ჩვენ მივყვებით იესოს – 6:19; 13:13.
  - ბ) როდესაც ჩვენ ვეხებით უფალს შინაგან ოთახში, წმიდათა წმიდაში, საიდუმლო ადგილას, ჩვენ შეიძლება ვიყოთ შედარებული სულამიტს – 10:19-20; ქებ. ქ. 14; 4:10; 6:13.
  - გ) როდესაც ჩვენ ვამოწმებთ უფლისათვის და ვმუშაობთ უფლისათვის ჩვენი გარეგნული ცხოვრებით, ჩვენ შეიძლება ვიყოთ შედარებული აბიგელს, რომელიც დახეტიალობს დავითთან ერთად უდაბნოში – 1 ქეფ. 25:40-42.
- ბ. ჩვენ შეგვიძლია ყოველ დღე განვიცადოთ ეს ორი ასპექტი – ებრ. 6:19-20; 10:19-20; 13:13:
1. ჩვენ ვიმყოფებით ფარდის მიღმა, როგორც სულამიტა, ვცხოვრობთ წმიდათა წმიდაში და ვტკბებით აღმდაგრი და განდიდებული ქრისტეთი, და ჩვენ ვიმყოფებით ბანაკის გარეთ, როგორც აბიგელი, ვცხოვრობთ ქვეყნიერებაში და მივყვებით საოცარ იესოს – 6:19-20; 13:13.

2. სულამიტისა და სოლომონის მსგავსად, ჩვენ ვრჩებით სასახლეებში სპილოს ძვლისაგან და ურთიერთობა გვაქვს უფალთან შინაგანად, და აბიგელის მსგავსად, ჩვენ გარეგნულად ვცხოვრობთ და ვმუშაობთ, მივყვებით დავითს ომში და ვიტანჯებით – ფსალ. 45:8; 1 მეფ. 25:40-42.
  3. ის, ვინც იმყოფება ჩვენში, – არის აღმდგარი ქრისტე, ხოლო ის, ვინც იმყოფება გარეთ, – არის იქსო ნაზარეველი – გამოცხ. 1:17-18; მათე 2:23.
  4. შინაგანად ჩვენ გვაქვს სულამიტის ტკბობა საიდუმლო ადგილას, ხოლო გარეგნულად ჩვენ გვაქვს აბიგელის გახსნილი ცხოვრება.
- ბ. როდესაც ქრისტეს მორწმუნე გამოდის ფარდის, ურთიერთობის შინაგანი ოთახის გარეთ, მას შეუძლია იაროს ჯვრის გზით და გაჰყენს ტანჯულ იქსოს – ებრ. 6:19; 10:19-20; 13:13:
1. მხოლოდ მათ, ვინც შედის ფარდის შიგნით, შეუძლიათ გავიდნენ იქსოსთან ბანაკის გარეთ და ატარონ მისი შეურაცხოფა – 6:19; 10:19-20; 13:13.
  2. სწორედ აღმდგარი ქრისტე ჩვენში მიგვიძლვის ჩვენ იმაში, რომ ჩვენ გავყვეთ ტანჯულ იქსოს – მუხ. 13.
  3. უფალი იქსო დადიოდა ჯვრის გზით და შევიდა აღდგომაში, ახლა ის მიგვიძლვის ჩვენ, თავის აბიგელს, იმაში, რომ ჩვენ ვიაროთ ჯვრის გზით და გავყვეთ მას ბანაკის გარეთ, ვატაროთ მისი შეურაცხოფა – მუხ. 13.